თუ პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა... #სქემა N1

პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების ფაქტი მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე იწვევს მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

პრეზიდენტის ვალდებულება

პრეზიდენტი, პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნამდე, მთარობის მოვალეობის შესრულებას აკისრებს „ძველ“ მთავრობას. პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ამ შემთხვევაში ასრულებს ვიცე-პრემიერი

პრეზიდენტი

პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას

პრემიერობის კანდიდატი

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას ნდობის მისაღებად.

პარლამენტის მიერ მთავრობის შექმნა

პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7 დღის ვადაში განიხილა და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა მთავრობის შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას.

პრემიერ-მინისტრის /მთავრობის წევრების დანიშვნა

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებიდან პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პრემიერ-მინისტრი კი ორი დღის ვადაში მთავრობის წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება